

რედაქცია: სოლომონ სერ-  
გივის ქაზახე, ი. მ. ბარალოვის ხახლ-  
ში. № 8.

კანტორა რედაქციის: სერ-  
გივის ქაზახე, ი. მ. ამინ ლევის სა-  
ლობში, № 8.

ხელის-მოზერა მიიღება კანტო-  
რაში. ზარეშე მცხოვრებთავა: ვ. თ. თ. თ.  
ლის. ვ. რედაქციის გა. „დრო ა. ა.“.

გაზოთის ფასი: თარო ჭა-  
ლა—8 გან., ნ. ხევარ ჭალა—4 გან. და  
50 კაპ., ოთხის ფასი—3 გან.

## დორი

ხვალ, კერას, 22 ოქტომბერს და  
ზე, 23 ოქტომბერს, თფილისში იქნება  
ცხენების დოლი (სკაჩა). მოგვყავს უმ-  
თავრესი წესდებულება ამ დოლისა:

კვირას, 22 ოქტომბერს

30 რველს დოლზე უნდა გამოვი-  
დნენ სამი წლის ადგილობრივი ჯინშის  
ჭავი ცხენები.

პირველი ჯილდო 400 გან., მეორე  
100 გან., მესამე ის ფულები, რაც ხე-  
ლის-მოწერითა და ჯარიმებისაგან შე-  
მოვა.

მეორე დოლზე—სამი წლის კვი-  
ცები (ულაყი) აგრეთვე ადგილობრივი  
ჯინშისა.

პილდო იგივე იქნება, რაც პირველს  
დოლზე.

გასაჭენებელი ადგილის სივრცე 2  
ვერსი და 100 საერი.

მესამე დოლი მსურველის ყაზანი-  
რუსებისა.

ორშაბათს, 23 ოქტომბერს

30 რველ დოლზე გამოვლენ ად-  
გილობრივი ჯინშის ცხენები სამის წლის  
ჭავი და ულაყი.

პირველი ჯილდო 400 გან., მეორე—  
150 გან. და მესამე ხელის-მოწერისა  
და ჯარიმის ფული.

სიერცე გასაჭენებელი ადგილისა 3 ვერსი.

მეორე დოლი—ხალხთა შორის  
დოლი იქნება, რომელზედაც გამოვლენ  
უველა ხნის ჭავი და ულაყი ცხენები,  
როგორც აქაური და რუსის ჯინშისა,  
აგრეთვე საზღვარ გარეთისა.

პირველი ჯილდო—500 გან., მეორე—  
200 გან., და მესამე—ხელის-მოწერითა  
და ჯარიმებით ადგებული ფული.

სიერცე გასაჭენებელი ადგილისა 4  
ვერსი და 100 საერი.

მესამე დოლი—სახალხო; უველა  
ხნისა, ჭავი და ულაყი, ადგილობრივი  
ჯინშისა.

პირველი ჯილდო—75 გან., მეორე—  
25 გან., მესამე—15 გან., მეორე—10  
გან., მე-5, 6, 7, 8 და 9 ჯილდო—5  
გან.

სიერცე გასაჭენებელი მანძილისა—  
4 ვერსი.

მეორე დოლი გამოართება მსურ-  
ველთაგან ხელის-მოწერით, თუ მსურ-  
ველები აღმოჩნდნენ.

უოველ დღე თრუაბათს გარდა

1866 1878

ცალკე ნოვენი ლის შაურათ

განცხადება: მიღება ქართული,  
რუსული, სომხური და სხვ. უნდა ზე-

ვასი განცხადების დრო მა-  
ჟირ ასოზე—1 კაპ., არა მაგრა უნდა და  
ტრონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-  
ცეროთი—5 კაპ., პარაზო—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გა-  
სწოროს და შეამოკლოს დასაცემით  
გამოგზავნილი სტატიები. დაუბრე-  
ლი სტატიები ავტორს არ დაუბრუნ-  
დება.

დოლი დაიჭვება ნაშაბლევის 2  
საათზე.

ადგილების ფასი

ლიები — ქვემო — 10 გან.

ქვემო — 7

პირველი ორი წყება კრესლები — 3

სკამები კრესლოებს უკან — 2

დივანი (ოთხი დასაჯლომით) წინ — 5

— — — — — 4

ადგილები სკამეიკაზე გალელეის მარ-

ჯვენი — — — — 40 კაპ.

— — — — მარცხნივ — — 30

შეხვე დასადგომი ადგილები, სკამეი-

კებთან — — — — 20 კაპ.

— — — — მო მორებით — 10 კაპ.

ბილეთების აღება შეიძლება 20

ლეინობისთვედამ პონნოზავოდის უპრა-

ელენიაში, სოლოლაქზე, სერგიევის  
ქუჩაზე, ჩითახოვის სახლებში; დო-

ლის დღეს თვითონ ადგილზე, საცა-  
დოლია გამართული.

მზრუნველის თანამემწე, რომელსაც  
მიუღომელს, მხნეს და „სასტუკა“, მაგ-  
რამ სამართლიანი“ კაცს ამბობენ.

\* \* ჩვენ გვაცნობებენ, რომ გუშინ  
ლამე გაუქურდეთ თ. ნ. ამატუნი. სულ  
წალიათ, როგორც გვითხრეს, 2,000  
მანეთის სამირალი ნივთები, როგორ  
რიცხვში რეულა წყვილი ზაპონკი, რო-  
მელიც 600 მანეთად ლირდაო.

\* \* ჩვენ გვაცნობებენ, რომ ამ ღვა-  
ნობისთვეის 14-ს ალექსანდროვის სამა-  
წალელებლო ინსტრუტუმენტ უკვილა ჩვეუ-  
ლებისაბრი-გამართული საღამო, რომელ-  
ზედაც უკვილა მიწვეულნი უკელა  
მაწველებლებს გარდა რამდენიმე სხვა  
პირიც. ამ საღამოს წინა დღეს, როდე-  
საც შაგირდები დროს-გატარების პროც-  
რამას არდევნდნენ, რამდენთამე ქართ-  
ველ ყმაწველთ შეუტანით წინადადება,  
რომ, სხვათა შორის ქართული სიმღე-  
რებიც იმღერონ. პროგრამმის შემდგე-  
ნელობისთვეით ეს წინადადება; მაგრამ  
დიღხანს უძებნიათ თავიანთ შორის ისე-  
თი მხნე ყმაწველი, რომელსაც გაებედ-  
ნა ამაზე ნება-როვის მიღების თხოვნა  
უფ. დირექტორის ზახაროვისგან. ბოლოს  
ერთი ვაღაც რუსი შავირი წასულა  
სათხოეელად და, უკელას გასაკერძოელად,  
უფ. ზახაროვს მიუცია ქართული სიმღე-  
რების ნება-როვა მხოლოდ იმ პირობით,  
რომ ჯერ გადაუთარებონ და წარუდგი-  
ნონ იმას გასაშინჯავად. შვაწველებს  
უმღერიათ: „ახლა ჩვენი ხარ, ჩიტო-  
ლამაზო,“ „აბურდლელი ჩამწანწალდა“  
და „ავთანდილ გადინადირა“ და, რო-  
გორც გვაცნობებენ, ისე კარგათაც უმღე-  
რიათ, რომ უკელა დამსწრეთ მიღიან  
მოსწონებიათ.

\* \* „ივერიის“ უკანასკნელ ნომერში  
დაბეჭდილია მუთაისიდამ მიღებული  
კორრესპონდენცია, რომლის ავტორიც  
გვაცნობებს, რომ ქვემო მოუვანილ პირთ  
შემდეგი ქართული სახელმძღვანელოე-  
ბი აქვთ შედგენილია:

მღვდელი დიმ. ზანაშვილი—შემო-  
კლებული ქართული გრამატიკა—შემო-  
კლებული ქართული გრამატიკა—

ტიკადა ახალი პლას სამ-  
ლეთო ისტორია ცნობილი იყო.

უ. პ. ჰიკინძე— პირველ - და შ-  
უებითი კურსი (საზოგადო ცნობა)  
გეოგრაფიისა (სამშობლო განცო-  
ფილებაში ჩართულია საჭირო ისტორი-  
ული ცნობებით) და

უ. ი. მესხი— არითმეტიკა პირ-  
ველი ორი წლის სასწავლებელი.

ბეკივირს— რად არ აძეჭდინებენ ამ  
სახელმძღვანელოებს ზემოსქენებული შემდეგნელი, თუ კი სრულიად მზათა  
აქეთ. საჭიროებაც ეს არის, და გამომ-  
ცემელს ამ გვარი წიგნებისათვის ყო-  
ველთვის აღვილად იშოვნია.

\* \* \* ბაქოს გაზეთში ვკითხულობთ  
შემდეგ ამბავს: რადგან ის ქუჩა, რომელ-  
ზედაც გამოდის უფ. მირზოვის ნავთის  
ზაფლი, სრულებით აყროლებულია,  
ამის გამო ბაქოს მაღაქის ზამგეობის  
წევრის ჩივილით, მომრიგებილ მოსა-  
მართლებ იცნო უფ. მირზოვი დამ-  
ნაშავედ ქუჩის გაბინძურებაში და გარ-  
დაუწყვიტა იმას 15 მანეთის ჯარიმის  
გადახდა და თუ ამას ვერ შეიძლება,  
სამი დღით დატუსაღება.

მს „თუ ამას ვერ შეიძლება“, ძა-  
ლიან კარგი სიტყვა უ. მირზოვის შე-  
სახებ...

\* \* \* ჩვენ შევიტყეთ, რომ უფ. ბ. არ-  
წრუნი თავის შენობაში (სასალნის ქუ-  
ჩა) სათეატრო ზალის გამართვას აპი-  
რებს ქართულ-სომხურის წარმოადგენა-  
ებისათვის. პლანი უკვე მზათა აქცით  
და ამ ერთობრ თვეში შეუდგება მუშ-  
ობასათ. ამბობენ, სხვათა შორის 13  
ლოება იქნებათ, და ზალის სივრცე იმ-  
დენი იქნებათ, რომ, როცა ყველა ბი-  
ლეობები გაიყიდება, ხუთასი მანეთი შეგ-  
როვდება.

\* \* \* ჩვენ შევიტყეთ აგრეთვე, რომ მა-  
ლე შეუდგებიან ახალი (დიდი) თეატრის  
აშენებას. მრთ წელიწადში ეს თეატრი  
სრულიად დამზადებული უნდა იყოს.

ამბობენ, რომ ამ თეატრის პლანის  
გამკეთებელი პეტერბურლელი ახნიტექ-  
ტორი უ. შერტტერი თვითონ იქნება  
მოწვეული, რომ თეატრის აშენების  
დროს ზედამხედუებულია იქნიანსათ. რო-  
გორც მოვეხსენებათ, თეატრის ასაშე-  
ნებლათ 269;000 მანეთი არის დანიშ-  
ნული; მაგრამ, ამზობენ, მეტი დაინარ-  
ჯებათ.

როცა ამ-თეატრს აშენებენ, ახლან-  
დელი საზაფხულო თეატრი თავისუფა-  
ლი იქნება. მეტა, ის თეატრი მანიც  
მოვეცება ჩვენ მაშინ ქართულ-სომ-  
ხურ წარმოადგენაებისათვის.

\* \* \* მოგეხსენებათ. რომ ამ დვინო-  
ბისთვის 22-ს თვილისში, ჩეინის გზის  
სტანციის მახლობლად იქნება დოღი

(სკაჩა). მაყურებელ საზოგადოებისათვის  
შენობა უკვე დამზადებულია; ლოები,  
ამბობენ, ყველა დაიტაციონ.

რაც შეეხება მედოლებს, მუდამ დღე,  
ნაშადლების ორ საათზე, მიშვათ იქ  
თავიანთი ცხენები და ავარეჯიშებენ, ემ-  
ზადებიან დოლისათვის. პერ-ჯერობით,  
როგორც გავიგონეთ, 40 კერძო ცხენი  
და 12 სახაზინო ემზადებიან დოლში მო-  
ნაწილეობის მიღებას. ჩვენ ვნახეთ  
რამდენიმე ყარაბაღელი, თათოები, რო-  
მელთაც გაგრევე ჩამოაყენათ დოლი-  
სათვის თავიანთი ცხენები.

### მართული სამუდამო ტრუკა.

საცოლავი ფრაზა! ვის პირში არ გა-  
მოთქმულა ეს სამი სიტყვა და ეს არ  
უნატვრია, რომ ამ სამი სიტყვის მიზან-  
ნელობა ნამდვილათ აღსრულებულიყო!  
აგრე სამი-ოთხი წელიწადია, რაც  
გვესმის ეს ფრაზა ხან ერთ პირისაგან,  
ხან მეორისაგან და ხან მესამისაგან. მა-  
თქმის ეს სიტყვებია მოხარული უნ-  
და იყოს, რომ დალეჭვაც აღარ ენდო-  
მებოდეს და ისე შეიძლება გადაიყლა-  
პოს. მაგრამ აქმდისინ, ჩვენდა-საუბედუ-  
როთ, ისევ ჰუმი და მოუშეშავია.

ცუდი ის არის, რომ მართლა ძელი  
სა, კარგათ გამოსანვარიშებელსა და  
მოსაფიქრელს საქმესა იმისთვის პირი  
ჰყიდებენ ხელს, რომელთაც სულ არა  
შეუძლიანთ-რა და ცვენისა ისე არა ეს-  
მისით-რა, როგორც მე ჩინურის მუზიკისა

შესაძლოა, კაცი კარგი ნიჭიერი აქ-

ტიორი იყოს და ცვენის საჭიროებისა

და ანგარიშისა არა ყურებოდეს-რა.

საითაც მიიხედავთ, სულ ის გესმისთ,  
რომ მალე სამუდამო ტროპსა ჰმართა-  
ვენ და ამა და ამ პირს ანტრეპრენიო-  
რობა მიანდეს (ვინ მიანდო? როდის!?)

იმაზედ ცუდი არ იქნება-რა, როდე-  
საც-ტროთ ვინმე უკრს მოკერავს სადმე  
პატოსანთა და ჭკვან კაცების ჰაზრსა  
და მემკე გადამტვრევით, შემცდარათ  
და თავისებურათ უზრუღო-დროთ გავრ-  
ცელებს და მოპევენს მას ქვეყანაზე. ამი-  
სთან პირი უფრო უფრო ენერგეტიკის პა-  
ტიოსანი ხალხა და ამით აზნევენ თვით-  
დაწყლიბილს საქმესაცა.

მართლა და რა გაგებდა ჩვენ ეს სა-  
მუდამო ტროპა? განა არ (მაიდლება  
ბოლო შოულოთ ამდენს ცოდვილინს  
ნატრენასა? ნუ თუ ჩვენთაგანი ერთი ჩი-  
განი მოთავე არ უჩნდება ამ საქმეა?

საქმე მხოლოდ თავდადებაზეც არის  
დამოკიდებული და ფულზეცა. არც ისე  
საიმისო პეტრი ფული მოუნდება, რო-  
გორც ბევრს ჰერინი. პატევათ პირები  
ტროპებისთვის 5000 მანეთი დაგვირდეს  
მეტი ხომ არა. მრთ ხელ-მოწერა გავ-  
მორთოთ და შეუდგეთ ამ საქმეს. მხო-  
ლოთ, აკა მოგახსენეთ, ეს საქმე ერთ-  
მა გამოჩენილმა და პატივუცებულმა თა-  
ვიანშია, გამოცდილმა პირში კი დაიწყოს,

გული მიაყოლოს და უფრეს მაგალითი —  
თუ რა მალე გაგებმეტყველი უსტურებული  
ტრუპა. მე საწყალი კაცი ვარ, მაგრამ  
20 მანეთს შევსწირავ ამ საქმეს. განა  
ერთი ასიოდე კაცი აღარ იპოვება, რომ  
ამაზედ მეტი შეტანის?

მრთის სიტყვით, საქმე იმაზედ არის  
დამოკიდებული, რომ თავს არავინ არ  
უდებს, მოთავობას არავინ რეგისტრ, თა-  
ვიანი არა ჰყისრულობს.

სომხებიც ჩვენისთან — მდგომარეობა-  
ში არიან. ისინიც სულ იმასა ჰაჩივიან,  
რომ ერთი რიგიანი სცენა არა აქვთ  
თავისი საკუთარი, რომ როდესაც უნ-  
დოდეს, მაშინ ჰქონდეს ხოლმე წარ-  
მოდგენა. რატომ ერთხელ არ მოვილა-  
პარაკებთ იმათთან, რომ სადმე როგორ-  
მე ერთად გავმართოთ ზალა, ვიშვოვთ  
სადმე ფულები, შევაგრივოთ და ცცე-  
ნა ჩვენი ხარჯით სანახევროთ გავაკე-  
თოთ! ამშობენ, რო უფ. არწოუნი ზა-  
ლისა გვპირდებათ სამის წლით ლფასოთ  
(?), ოლონდ თქვენ სცენა და დეკარა-  
ციები გამართოთ. თუ ეს მართალია,  
რატომ არა ესარგებლობთ შემთხვევით  
და საქმეს არ შეუდგებით? მაგრამ ჩვენი  
უველავერში ზაზინაობა გვიყვარს.

ა კიდევ ერთი შენიშვნა: ცოტო  
გონიერი კაცი ჯერ დანის-ძებაზე უი  
ქისის, შემდეგ განზრახების აღსრულე-  
ბაზედა; ჩვენ კი სხვა ნაირათ მოვიდის:  
ჯერ აქტიორებს ეყებთ, გარდირობზედ,  
ზალის განათებაზედა ეფიქრობთ, რე-  
პერტუარს გარდენთ და არ ვიცით —  
რისთვის და სარიდისათო! მს იმასა ჰაგას:  
„დავინა არსად იყოვთ და ემმაკება ტი-  
კებს აღბობდნენი!“

### 8. ბავურციხელი

“დროშის” კორელაციონური  
ახალგაზისი (ახალციხის), 15 მე-  
ტომბერი. ამ პატარა შეკახების ახალ-  
გალეჭში არის მიროვოი სულია გვარათ  
ილიცუხევი, რომელიც აპავე დროს  
ასრულებს ნოტარიუსის თანამედრობასაც.  
მაგრამ როდესაც ჩვენ შეკლივარზ  
სანოტარიუსო საქმეზედ, გვარიცუ-  
ხებს და ვესილებს; როდესაც შეგვიმზ-  
მებს და მოხვევას, რომ ამისი შემოწე-  
ბული საბუთებით მივლივართ მასთანვე  
საჩივლელად, როგორც მიროვოი სული-  
ასთან, ყველა მოველთვის განაჩენით რაც გინ-  
და მართალი იყოს, უკას გამოსცემს,  
— გადაიტან ოკრუენი სუდშით! იქნე-  
ბა მე სახელმწიფოს მიმდინარე არა მაქს,  
აპელაციის დასაწერი და აღვაკატის ფუ-  
ლებს სად ვიშვენა?  
რადგანაც მიროვოი სუდია არის,  
ხომ იცის თავისი შეკახების უსტურებული  
საბუთი, თებერვალის 1878 წელი.

არ გევედმით, რომ სულ სცარალაც ჰაზ-  
აი გამოუყვანისა. უკეთუ საქმის კონი  
ეთხოვთ, ერთ თვემდისინ არ გვაძლევს.  
შრთი სიტყვით, ხმას არ გვაღებინებს.

აგრე ეხლაც დაინიშნა პხალციხეს  
შუთაფუვის ქალზედ; ხან ერთი კვირით  
და ხან ორი კვირით, წმ-და-უწუშე, ჩაჯ-  
ლება ტრიკაში და პხალციხისაკენ  
გაჰქრამს. არ ვიცი აქამდისინ — კურუქ-  
ნი სულმა არ იცის, ან თუ იცის, ასე  
მალ-მალ რათ ითხოვს. დაკურტამს შეკაფ,  
სანოტარიუსო წიგნებს არ აძლევს თავის  
თანაშემწეს; ჩენ ც გაწუხებთ ავ საწყალს  
თანაშემწეს; ჩენ ც გაწუხებთ ავ საწყალს  
რა ვენა, ირიც ფუხოც დაკურტილ შეკაფში  
აქვსო.

უფ. რედაქტორო, გთხოვთ დამიბეჭ-  
როთ ეს კონკრეტული მოხსენენდება; უკვე ლივე  
ნამდვილი მოხსენება არის. იქნება უმალ-  
ლესმა მთავრობამ უურალება მიაჭიროს  
და დაგვისხნას ავ ჩენი მოსამართლის  
ხელიდგან და ამისთანა გაჭირვებიდგან.

ჩავახი

## უცხო ქვეყნები

### ოსმალეთი

მოგეხსენებათ, რომ ბერლინის ტრაქ-  
ტატის ძალით სპარსეთსაც კი ერგო პა-  
ტრარა მაზრა (ძორურის მაზრა) მსმა-  
ლეთისაგან. მაგრამ გაზეთებში იწერ-  
ბიან ახლა, რომ მსმალეთი არ უთმობს  
ჯურ-ჯერიბით სპარსეთს ამ მაზრასათ  
და ამის გამო ამ თან სახელმწიფოს შეკ-  
უკმაყაფილება მოხდაო.

— ჩაზეთს „პრესში“ იწერებიან ტრა-  
ქტონიდამ:

„დიარბეირისა და შეშის მაზრებში  
არმადიმეჯერ მოხდა შეტაკება მსმა-  
ლოს ჯარსა და ავაზაკ შეტოებს შეკა.  
მსაირის მაზრაში (ტრაპიზონსა და არზ-  
რუმს შეკა) დაზები დაუცნენ ერთს სო-  
ფელს, რომელშიაც კათოლიკე სომხები  
იდნენ 150 მოსახლე და მთელი ეს  
სოფელი ააოხებს. მსმალოს ჩინოვი-  
ნები ყოველ გვარ დონის-ძებას ხმა-  
რობენ, რომ შემდეგში ამისთანა უშე-  
სოება აღარ მოხდეს აქეთვენ.“

— უპავე გაზეთის სტამბოლელი კო-  
ნსტანტინოპოლის ამინისტრი, რომ ყველა ის  
ფაშები, რომელიც ალაზანის ბრძოლის  
დროს იყვნენ რუსებისა და არა მა-  
რთლის დროს იყვნენ რუსებისაგან  
დატუსაღებულნი, დაბრუნდნენ თუ არა  
სტამბოლში მწამეს და არა მართლის  
მაგრამ ამათის ჩენებიდამ სხინძო, რომ  
შეველა დამარცხება მცირე აჩიაში მუხ-  
თარ-ფაშის ბრძოლაო, იმის უთაბისა  
და სიმუხტლისათ. ამის გაშო, აშპობენ,  
რომ მუხთარ-ფაშას ყოველი გავლენა

დაეკარგება მსმალეთის მთავრობაში  
და სულთანმაც განზე დაუწყო იმას უუ-  
რებაო.

### ინგლისი

„დელი ნიუსში“ იწერებიან, რომ  
ავგანისტანისა და რუსეთს შეკა ფორმა-  
ლური პირობა და კავშირი არის შე-  
კრულიო, და ამ პირობის ძალით, ეს  
ორი სახელმწიფო ვალდებულნი არიან,  
რომ, თუ ერთს ან მეორეს ინგლისითან  
ომი აუტყდათ, ერთმანეთს უნდა და-  
ხმარონ.

— ამავე გაზეთში დაბეჭდილია დიდი  
სტატია ლორდ ბიკონსტილდის წინამდ-  
ლებე, რომელშიაც სხეათა შორის მოხ-  
სნებულია, რომ ლორდ ბიკონსტილდ-  
მა და ვაცე-კოროლმა განგებ ასტესეს  
უკმაყაფილება ავგანისტანის მმირთან,  
რადგან ეშინანთო, რომ ავგანისტან-  
თან დამეგობრებით რუსეთი არ დაუა-  
ხლოვდეს ინდოეთს და ამ მხრით არა-  
ფერი დაკლოს იმან ინგლისის სამ-  
ფლობელოსათ.

### ბოლგარია

ვენის გაზეთებში დაწერილებით აწე-  
რილია არეულობა, რომელიც თან-და-  
თან ვრცელდება ამ ქამად მაკედონიაში,  
მსმალეთის ბოლგარიაში, თესალიაში  
და ვპირში. ლონდონის გაზეთებში დარ-  
წმუნებით ამბობენ, რომ ეს არეულო-  
ბა რუსეთის აგენტებმა ასტესესო.

### ვარილი რედაქტორთან

#### შუალო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ პატიგცემულ გაზეთ-  
ში მისცეთ ადგილი ამ ქვემო-მოყვანილს  
ჩემს თარიღიდე სიტყვას.

თქვენს გაზეთში, ამ წლის 201 ქ-ში  
დაბეჭდილი იყო უ. ბედეკრულაძის სტა-  
ტია, რომელშიაც ვატორი სწერდა გო-  
რელებზე და, სხეათა შორის, ჩემზედაც.

ჩემზე უ. ბედეკრულაძე სწერდა: ვი-  
თომ ქვემის უქზის სასწავლებლის  
რომელსამე ყმაწვილა სადმე ქეჩაში  
კოჭი ეთამაშნა; იმ დროს მე გამომევ-  
ლოს და გამოგორებული კოჭი ფეხზე  
მამხლომოდეს; მემრე მე იმ ყმაწვილის-  
თების ყურში წამევლოს და კარ-  
გათ მეცემოს; ამ დროს გამომეარღო-  
დეს გალასული ყმაწვილის სახლისპატ-  
რონი თუ შემნახვი და კარგათ გამო-  
ველიანდო.

შოველივე ეს სიმცრუე.

ვარწმუნებ მკითხველთ, რომ მე არ კოჭი მოხხდომოდეს ფეხზე, არ კოჭის  
თაბაშობაში მომეტროს ჩენი. ყმაწვი-  
ლები, არც არაეს დელაკაც გაველანდო  
და არცარა მსგზავი ზემოთ მუშლისა მე-  
ნახოს და გამეკონოს რამე ჯერ მე აქ.

უ. ბედეკრულაძე სწერდა კიდევ:

„03 დღეს ერთ შაირცე და გამო-  
ვისი მმანიგი კლასში და ჩემდენი ეცემა  
ნა, რომ სისხლი ნაკადულიერი ჩამო-  
ჩუხხებდა ცხვირიდამ; უნიტლები იქ  
იყენებ და ხმაც არ გაეცათ გამლაცე-  
ლისათვისა. ბალახული ყმაწვილის დედა  
თუ მამა მისულა შეკლაში და უთქვამს:  
— რათ მიკველენებოთ შეილსა, ნეტა  
ჩილასი უნიტლები ხართ!“ ბამოუარდა  
მას ჭაფარიძე და შეუტია: რა გალია-  
ლებს, ეს შეკლა ხომ ხედავო! მემრე  
მოედა, უ. სმოტრიტელი ბასმანი და  
დამანაშავე ყმაწვილი გამორიცხა“.

აი, ბატონო, კადევ ტყუილი!

მართალია, თას პატარა ბავშებს პე-  
რემენის დროს რალაცაზედაც ჩეუბი  
მოსვლოდათ და ერთს იმათგანს შე-  
რესვთვის ეცემა; მაგრამ იმ შემთხვევაში  
არც ერთი მასწავლებელთაგანი იქ არ  
შესწორება; და რაც შეეხება ყმაწვილის  
გამორიცხას, უ. ვატორი ტყუილათ  
ბრძანებს, ყმაწვილი არავის გამოურც-  
ხას. შესაძლებელია კიდევ გამორიცხა-  
ლენ, თუმც ქვემორე ამისა სხენებულ  
მიზეზს არ დაეფარა ისა.

უ. ბედეკრულაძე ამბობდა თავის სტა-  
ტიაში, გითომც მე შეეძახოს და ისე  
გამესრუმრებინოს სასწავლებლიდამ ზე-  
მოხსენებული ყმაწვილის მამა თუ  
დედა.

არც ეს გახლავთ ნამდვილი. მოიხ-  
სნეთ, ნამდვილს შე მაგასენებდთ: გა-  
ლახული ყმაწვილი წასულიყო შინი  
ჩეუნ-და გაუკებლივ და ეს შემთხვევა  
უცნობებით თავის დისთვის. მე მანდი-  
ლოსანი სულ ნახევარის საათის განმა-  
ტობაში შემოვარდა სასწავლებელში და  
შეტის-მეტათ აღმფუთებული ეცა მესამე  
კლასის კარგებს, შევარდა კლასში და  
უშეერის სიტყვებით დაუწყო ლანძლეა  
და ჩეუბი მასწავლებელს უ. ძ—ეს, რო-  
მელიც იმ დროს ის გავეთილს აძლევ-  
დი.

მასწავლებელმა შესწყვიტა სწავლა და  
გამოცემა კლასის თახიდამ; იმას თან  
გამოჰყენა სსენებული მანდილოსანიცა  
ეს დროს მე არა მეონდა გაკეთოლი, გ  
ვიყაე სხეის გაკეთოლზე და ყურს უგ-  
დებდი. როდესაც შემომება კარილო-  
ში ქალის ხმ-მალა ყვირილი, გამო-  
ცედი კარილორში და ყური დაუგდე იმ  
ქალის ლაპარაკს. რო შევიტევ. რა შემია-  
დგომარეობდა საქ, მე უთხარი ქალსა;  
ბატონო, რათა სწუხლებით ეგრე და ან  
სწავლას რათ გვაწყვეტინებთ? უცჯო-  
ბესია მასწავლებელთ რჩევაში გამოამ-  
ცხადოთ და ის დამაშავე ყმაწვილს  
დირსეულათ დასჯის. თუ არა გაქო-  
რებული მოსვლის დრო სანივლელათ,  
ნურც იმისთვის შესწუხლებით, ჩეუნ თვე-  
თონ განვაჭადებთ რჩევაში და კონ-  
ტრიცია კანონისაგებრ მოვექცევიუ-მეთქი.  
მალა მზიელ ითაგვილა ჩევნგან, რო-  
დესაც ჩეუნ უთხარით თუ ფეხრე ხმა-  
ლის ლაპარაკი წერი არ არის და არც  
კარგი მაგალითია ყმაწვილისათვის;  
იმან მზინევ აღვითეთვა: „მაიცა, მე ისე  
თი ვინძე მყავსო, რომ გაზეთში ჩაგ-  
რენინებოთ და ქვეყანაზე მოგვენონთო!“

